ი/მ "რევაზ მახვილაძე, მშენეკონომეფექტი,
დაპროექტება, ექსპერტიზა"
ქ. თბილისი, ნუცუბიძის II მ/რ, I კვ. მე-6 კორპ. ბ.14
ტ. 593 25-19-71 232–88–15 e-mail – r.makhviladze@mail.ru

№01-48/18 11 ოქტომბერი 2018 წელი

საექსპერტო-კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, გლდანის შესასვლელში, ახალი გზის მარჯვენა მხარეს (ნაკვეთი 23/10)/ ქ. თბილისი, ხიზაბაურის ქუჩა №1 (ნაკვეთი 23/009)/ ქ. თბილისი, გლდანის შესასვლელი, ახალი გზის მარჯვენა მხარეს (ნაკვეთი 23/014), ქ. თბილისი, ხევძმარის ქუჩა №7, №4 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ; ქ. თბილისი, ხევძმარის ქუჩა №1 მიმდებარედ; ქ. თბილისი, ხიზაბავრის ქუჩა №1 მიმდებარედ ნაკვეთი 23/16; ქ. თბილისი, ხიზაბავრის ქუჩა №1 მიმდებარედ მშენებლობით დასრულებული სავაჭრო ცენტრის მშენებლობის პერიოდში კონსტრუქციულ სქემაში ცვლილებებზე

1. წინათქმა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა 2018 წლის 07 სექტემბერს გამოსცა ბრძანება №ბ-10/01181973588-17 გლდანის სავაჭრო ცენტრის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

ასევე თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა 2018 წლის 18 სექტემბერის შუალედური გადაწყვეტილებით მოითხოვა აღნიშნულ ობიექტზე მშენებლობის პერიოდში მიწის ნაკვეთისა და შენობის გაბარიტების გაზრდისა და სხვა დარღვევების თაობაზე და კონსტრუქციული დასკვნის წარდგენა.

აღნიშნულ საკითზე ექსპერტიზის ჩატარება და კონსტრუქციული დასკვნის შედგენა დამევალა მე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, ექსპერტს 1978 წლიდან რევაზ მახვილაძეს. აღნიშული გადაწყვეტილება განაპირობა იმანაც, რომ ჩემს მიერ 2014 წლის 25 სექტემბერს გაიცა საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა №01-103/14 საპროექტო ობიექტის (სავაჭრო ცენტრის)

მშენებლობისას მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე შესაძლო ზეგავლენის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ექსპერტიზის მომზადების პერიოდში სამშენებლო მოედნის დათვალიერებასთან ერთად შევისწავლე საპროექტო არქიტექტურულ-კონსტრუქციული დოკუმენტაციაც, გამოვთქვი ჩემი მოსაზრებებიც და საპროექტო გადაწყვეტილებებიც დადებითად შევაფასე.

ეს ხდებოდა 2014 წლის სექტემბერში. მშენებლობის ქვეშ გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე ადრე ფუნქციონირებდა თბილისის წყალკანალის ავტოსატრანსპორტო საწარმო, რომელშიც ძირითადი ფართობები ეკავა მანქანა-მექანიზმების ღია სადგომებს, ხოლო მცირე ფართობები სარემონტო დანიშნულების ერთსართულიან შენობა-ნაგებობებს. მათი უმეტესი ნაწილი წითელ ხაზებში იმჟამად უკვე დემონტირებული იყო, ხოლო დარჩენილი ოთხი ერთ-ორსართულიანი სახურავ-მოხსნილი შენობა-ნაგებობა ნაწილობრივ დემონტირებული. ყველაფერი რელიეფთან ერთად უსახურად გამოიყურებოდა. ამჟამად მის ადგილას ფუნქციონირებს შესანიშნავი ექსტერიერისა და ინტერიერის მქონე სავაჭრო ცენტრი, რომელიც დომინანტური იერსახით მოუხდა გლდანს, საექსპერტო დასკვნის ბოლო გვერდზე ჩაკრულია ფოტოსურათები.

საექსპერტო დასკვნის შედგენის საჭიროებით ადგილზე დავათვალიერე ობიექტი, დამკვეთმა გადმომცა პირველადი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი და კონსტრუქციული დოკუმენტაცია, საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, აგრეთვე კორექტირებული არქიტექტურული ნახაზებიც მშენებლობის პერიოდში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

2. კვლევითი ნაწილი

ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა სავაჭრო ცენტრის საპროექტო დოკუმენტაცია შეითანხმა 2014 წლის 02 ოქტომბრის

ბრძანებით 31522400, განისაზღვრა მშენებლობის ვადებიც 2014 წლის 02 ოქტომბრიდან 2016 წლის 02 ოქტომბრამდე, ანუ მშენებლობის დაწყება-დასრულების პერიოდი განისაზღვრა ორი წლით.

მშენებლობა დასრულებულია, სავაჭრო ცენტრი უკვე წელიწადზე მეტია ფუნქციონირებს.

2018 წლის 18 სექტემბერს ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა შუალედური გადაწყვეტილებაში №4176320 სავაჭრო ცენტრის განხორციელებული მშენებლობის დადასტურებაზე ექსპლუატაციაში მიღების წინ დააფიქსირა ხარვეზები. ხარვეზი №2-ით მოითხოვა კონსტრუქციული დასკვნის შედგენა დაღვევით ნაწარმოებ მშენებლობაზე.

განხილვაზე წარმოდგენილი ძველი და ახალი გენგეგმით სავაჭრო ცენტრის ტერიტორიის ფართობი გაზრდილია 16381 მ^2-დან 22447 მ^2-მდე ანუ მომატებულია 6066 კვადრატული მეტრი, ქვედა ნიშნულებზე მუხიანისაკენ მიმავალი გზის გასწვრივ ნამატი ფართობის დიდი ნაწილი დაეთმო ღია ავტოპარკინგისა და ტერიტორიის კეთილმოწყობას, შეშელიძის ქუჩის მხარეზე სავაჭრო ცენტრში მაკდონალდის ფართობს მიუშენდა ვიტრაჟი. ამავე დროს მუხიანისაკენ მიმავალი გრუნტული გზაც დაიფარა ასფალტო-ბეტონის საფარით, რითაც მიმდებარე განაშენიანებამ მიიღო დასრულებული და კეთილმოწყობილი იერსახე.

ასევე გავეცანი სავაჭრო ცენტრის მშენებლობის დაწყების წინ 2015 წელს შპს „პროგრესში" ბატონ ჯონი გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით ექსპერტებთან ბატონებთან როლანდ მიქაუტაძესთან, თემურ მაქაბერიძესთან, გიორგი ჩიკვაიძესთან ერთად შედგენილ საექსპერტო დასკვნას პროექტის კონსტრუქციულ ნაწილებზე, რომელშიც საპროექტო გადაწყვეტილებები დადებითადაა შეფასებული და საფუძვლადაც დაედო მშენებლობის განხორციელებას.

ექსპერტი ჯონი გიგინეიშვილი მშენებლობის ექსპერტთა საქართველოს ასოციაციის წევრია, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (დღევანდელი კლასიფიკაციით ინჟინერიის დოქტორი), შენობა-ნაგებობათა ავტმატიზირებული მეთოდებით კვლევისა და პროექტირების სპეციალისტი, შპს „პროგრესის" დირექტორი.

სავაჭრო ცენტრის შენობა აგებულია მონოლითური რკინაბეტონის წერტილოვან საძირკვლებზე, სვეტები, კოჭები და სართულშუა გადახურვებიც მონოლითური რკინაბეტონისაა, ხოლო სახურავის მზიდ კონსტრუქციებში გამოყენებულია ლითონის მილკვადრატის სორტამენტით დამზადებული წამწეები.

საპროექტო დოკუმენტაციით სავაჭრო ცენტრის შენობა სამსართულიანია და ასეცაა აშენებული, გეგმაში ტრაპეციული ფორმისაა გვერდების ზომებით 102,8; 114; 124,7; 59,5 მეტრი; 9-14 ღერძებში „გ" ღერძიდან შენობის ნაწილი გამოწეულია 14,6 მეტრით, ხოლო „15" ღერძის გასწვრივ „პ" ღერძის გადაკვეთაზე იკვრება სამკუთხა 60^0-იანი წვეროთი და მთლიანობაში კიყველა მხრიდან ვიზუალიზაციის თვალსაზრისით კარგადაა მორგებული რელიეფის კონტურს.

ჩემი საექსპერტო მოვალეობიდან გამომდინარე საექსპერტო შეფასებებით შევეხები და განვიხილავ კონსტრუქციულ საკითხებს, რომლებიც დასმულია ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის და არქიტექტურის სამსახურის შუალედური გადაწყვეტილებების ხარვეზებში, სახელდობრ:

1. გაზრდილია შენობის გაბარიტული ზომები და ფართი:

2. შეცვლილია კონსტრუქციული სქემა (მზიდი ელემენტების რაოდენობა, მდებარეობა, გაბრიტები);

3. ნიშნულზე მინუს 7,3 მეტრი სართულის შუალედში სვეტებში ცამაგრებით დამატებით მოწყობილია დაახლოებით 1000 $მ^2$ ფართის ანტრესოლები, ასევე პირველ და მეორე სართულებზეც დაახლოებით 280 კვადრატულ მეტრ ფართობზე ანტრესოლებია მოწყობილი.

4. შეცლილია გადახურვის ფორმა;

5. სახურავზე დამატებით განთავსებულია კაპიტალური ნაგებობები, ტემპერატურის მარეგულირებელი და სარეკლამო წარწერები.

შენობის კარკასი განივი და გრძივი მიმართულებებით დაყოფილია მალებად, სვეტების ბიჯი ორივე მიმართულებით 8,5X8,5 მეტრია. შენობა აგებულია რკინაბეტონის მონოლითურ წერტილოვან საძირკვლებზე, რომელთა ქვეშაც ბეტონის მომასწორებელი ფენაა მოწყობილი, ასევე ფენის ქვეშ ქვიშა-ხრეშოვანი ბალასტია დაყრილი და დატკეპნილი.

მონოლითური რკინაბეტონის სვეტების კვეთი ძირა სართულზე 60X60 სმ, ზედა სართულებზე 50X50 სმ-ია, კოჭებისა 60X70 სმ და 40X70 სმ, სართულშუა გადახურვის ფილებისა 22-22 სმ. მონოლითური რკინაბეტონის კიბეები მოწყობილია ლითონის ჩანებზე, სახურავი კი სხვადასხვა სიგანისა და სიმაღლის ლითონის წამწეებით, ნივნივებითა და თუნუქის ფურცლებითაა მოწყობილი. სართულების სიმაღლეები 7,3+7,3+7,0=21,6 მეტრია.

პირველ კითხვაზე გპასუხობთ, რომ შენობის გაბარიტული ზომები და ფართი გაზრდილია ანტრესოლებში განთავსებული სავაჭრო ფართობების მომატებით, აგრეთვე მაკდონალდის სავაჭრო ნაწილში მინაშენით, ხოლო ტერიტორიის დაბალ ნიშნულებზე მუხიანის ახალი გზის მიმდებარედ თავისუფალი ნაკვეთი ღია ავტსადგომის დანიშნულებითაა გამოყენებული.

მეორე და მესამე კითხვებზე – შეცლილია კონსტრუქციული სქემა და დამატებით ავტოსადგომში, I და II სართულებზე დამატებულია ანტრესოლები 1280 მ^2 ფართობზე. ცხადია აღნიშნულით შეიცვალა შენობის საანგარიშო კონსტრუქციული სქემაც. კონსტრუქციული თვალსაზრისით ანტრესოლების მოწყობით გაიზარდა სვეტების მდგრადობა, ვინაიდან გაუმჯობესდა მათში გრძივი ღუნვის მაჩენებლები, გაიზარდა მათი ამტანუნარიანობა და შენობის მდგრადობაც.

მეოთხე და მეხუთე კითხვებზე შეცვლილია გადახურვის ფორმა (ალბად იგულისხმება სახურავი) და სახურავზე დამატებით განთავსებულია კაპიტალური ნაგებობები, ტემპერატურის მარეგულირებელი და სარეკლამო წარწერები, რაც სახურავის მდგრადობას და ამტანუნარიანობას საფრთხეს ვერ შეუქმნის.

3. ზემოთ ჩამოყალიბებული მოსაზრებებიდან გამომდინარე ვასკვნი:

3.1. ვადასტურებ, რომ გლდანში შეშელიძის ქუჩის მიმდებარედ ს.კ. 01.11.12.023.015 გამოყოფილ ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრის მშენებლობა განხორციელდა ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2014 წლის 02 ოქტომბერს ბრძანებით №1522400 საფუძველზე შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციით, თუმცა მოხდა ცვლილებებიც, რითაც დაირღვა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" მოთხოვნები. კონსტრუქციულ ნაწილში უნებართვოდ ანტრესოლების ჩაშენებისა და სხვა კონსტრუქციული ცვლილებები აღნიშნული დადგენილების თავი XIII და მისი მუხლების 62, 63 და 64 შინაარსიდან გამომდინარე შესაბამისი საპროექტო გადაწყვეტილებებით უნდა შეთანხმებულიყო ქ. თბილისის მერიის არქიტიტეტურის სამსახურთან.

3.2. ჩემს მიერ განხილული კონსტრუქციული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც განხორციელდა სავაჭრო ცენტრის მშენებლობა, შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე, საპროექტო გადაწყვეტილებები ამტანუნარიანობაზე, მდგრადობაზე და სეისმომედეგობაზე აკმაყოფილებენ მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნილებებს 8 ბალიან სეისმურობაზე. მათ მიხედვით აგებული შენობაც უკვე წელიწადზე მეტი ექსპლუატაციის პირობებში მდგრადია და ტექნიკური ხარვეზები არსად არ აღინიშნება.

3.3. დამატებით ავღნიშნავ, თუ შენობაში შეცვლილია კიბეების, ექსკალატორების, ლიფტების რაოდენობები და მდებარეობები, სვეტების კვადრატული 8,5X8,5 მეტრზე განლაგებისა და ორმხრივ თანაბარი დაარმატურების გამო, აგრეთვე მათი საჭიროებით სართულშუა გადახურვის ფილებში ამოჭრილი ფართების შექმნით და მათი კიდეების კონსტრუქციული გაძლიერებით ვერ შემცირდება შენობის მდგრადობის მაჩვენებლები.

3.4. რაც შეეხება ავტოსადგომში, პირველ და მეორე სართულებზე დიდი ფართობებით (1280 მ^2) ანტრესოლების ჩამატებას 7,3 მეტრი სიმაღლის სვეტებში ჩამაგრებით ავღნიშნავ, რომ კონსტრუქციული თვალსაზრისით ანტრესოლების მოწყობით განახევრდა სვეტების საანგარიშო სიმაღლეები, რითაც გაუმჯობესდა მათში გრძივი ღუნვის მაჩვენებლები, გაიზარდა მათი ამტანუნარიანობა და შენობის მდგრადობაც.

3.5. ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების საფუძველზე ჩემს მიერ განხილულ კონსტრუქციულ დოკუმენტაციას რეკომენდაციას ვაძლევ დასამტკიცებლად.

ექსპერტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი, საქართველოს საინჟინრო
აკადემიის ნამდვილი წევრი
(აკადემიკოსი) რევაზ მახვილაძე

დანართი:

1. ფოტო-მასალა არსებულ მდგომარეობაზე
2. ექსპერტზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსტეტის პროფესორზე რევაზ მახვილაძეზე შრომით საინჟინრო, საპროექტო, სამეცნიერო, პედაგოგიურ და საექსპერტო მოღვაწეობაზე დოკუმენტაციის ნუსხა.


CITY MALL
09/10/2018


LC WAIKIKI
09/10/2018


Carrefour
market
09/10/2018


GEORGIA
09/10/2018


09/10/2018


LC waikiki
09/10/2018

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

ს ა მ შ ე ნ ე ბ ლ ო
ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ი

GEORGIAN TECHNICAL
UVIVERSITY

FACULTY OF CIVI L
ENGINEERING

075, საქართველო, თბილისი, კოსტავას 68.
68, Kostava str., Tbilisi, Georgia, 075

(995 32) 33 17 87
36 65 42
33 17 87

06 2016 წ.

ც ნ ო ბ ა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი რევაზ მახვილაძე 1978 წლიდან მუშაობს სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო წარმოების ორგანიზაციისა და მენეჯმენტის დეპარტამენტში, 1960 წლიდან ეწევა საპროექტო საქმიანობას, 1978 წლიდან ითვლება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, მშენებლობის ხარისხისა და მონიტორინგის ექსპერტად, არის 11 სახელმძღვანელოს ავტორი უძრავი ქონების შეფასების, მშენებლობაში ფასწარმოქმნის, მშენებლობის ორგანიზაციისა და სამშენებლო სამუშაოთა წარმოების საზით, არჩეულია საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად). თავისი მოვალეობის შესრულებას ეკისრება პასუხისმგებლობით, სამშენებლო საქმიანობაში ითვლება წამყვან ექსპერტად.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 აგვისტოს ბრძანების №11/823 „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის პროექტირების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის შესახებ" ექსპერტიზის ჩამტარებელ პირებს უნდა გააჩნდეს შესაბამისი სპეციალობის უმაღლესი საინჟინრო განათლება, ასევე სპეციალობით ნამსახურევი 10 წლის სტაჟი, აგრეთვე საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციაზე საექსპერტო სამუშაოების შესრულების 5 წლის გამოცდილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტი ბატონი რევაზ მახვილაძე სრულად აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნული ბრძანების დანართ 1-ში ჩამოთვლილ მოთხოვნილებებს.

სამშენებლო ფაკულტეტის
დეკანის მოვალეობის შემსრულებელი დავით გურგენიძე



4

საქართველოს
ტექნიკური
უნივერსიტეტი

GEORGIAN
TECHNICAL
UNIVERSITY

Phon: (995 32) 365093
Fax: (995 32) 942033
www.gtu.edu.ge
info@gtu.edu.ge

0175, საქართველო, თბილისი, კოსტავას 77
77, Kostava str., Tbilisi, Georgia, 0175

„01" დეკემბერი 2016

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის რევაზ მახვილაძისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის ჩატარებაზე უფლების მინიჭების თაობაზე

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 აგვისტოს ბრძანების №11/823 „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის შესახებ" ექსპერტიზის ჩამტარებელ პირებს უნდა გააჩნდეს შესაბამისი სპეციალობის უმაღლესი საინჟინრო განათლება, ასევე სპეციალობით ნამსახურეობი 10 წლის სტაჟი, აგრეთვე საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციაზე საექსპერტო სამუშაოების შესრულების 5 წლის გამოცდილება.

აღნიშნულ პირობებს სრულად აკმაყოფილებს სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის, ეკონომიკისა და მენეჯმენტის კათედრის გამგის მოადგილე სამეცნიერო დარგში პროფესორი რევაზ მახვილაძე დანართ №1-ში ჩამოთვლილი 1, 2 და 3 პუნქტების შესატყვისობით, სახელდობრ

- სამოქალაქო და საზოგადოებრივი შენობა ნაგებობები;
- სამრეწველო შენობა-ნაგებობები;
- სივრცითი ნაგებობები (ანძები, კოშკები, რეზერვუარები).

ბატონი რევაზ მახვილაძე საპროექტო ორგანიზაციებში კონსტრუქტორად მოღვაწეობს 1960 წლიდან, რაც კარგად ჩანს მისი ბიოგრაფიული მონაცემებიდან. ამჟამადაც არა მარტო საკონსტრუქტორო საქმიანობაში, არამედ მთლიანად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაშიც აქტიურადაა ჩაბმული.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი რევაზ მახვილაძე სამშენებლო ფაკულტეტზე მუშაობს 1978 წლიდან სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის, ეკონომიკისა და მენეჯმენტის კათედრის გამგის მოადგილედ.

12

1960-64 წლებში მუშაობდა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტებში საქმახტაპროექტსა და საქსახპროექტში. იყო ინჟინერ-კონსტრუქტორი, შემდეგ უფროსი ინჟინერ-კონსტრუქტორი და ჯგუფის ხელმძღვანელი. 1965-71 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში და შემდეგ მუშაობდა უმცროს მეცნიერ მუშაკად ქ. მოსკოვის საბინაო-კომუნალური მეურნეობის აკადემიაში. იქვე 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სამშენებლო კონსტრუქციებში.

1972-77 წლებში იმუშავა საქართველოს ტერიტორიალურ საპროექტო ინსტიტუტ საქსახპროექტში ტექნიკური განყოფილების უფროსად, 1977-78 წლებში საპროექტო ინსტიტუტ საქკომუნმშენპროექტში არქიტექტურულ-სამშენებლო განყოფილების გამგედ, 1978 წლის სექტემბრიდან დღემდე მოღვაწეობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

1978-90 წლებში აქტიურად თანამშრომლობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარ საექსპერტო სამმართველოსთან და საქართველოს მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ საექსპერტო სამმართველოსთან, ითანამშრომლა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დაკუმენტაციის ექსპერტად, ხელმძღვანელობდა საექსპერტო ჯგუფს. ასევე 1998-2005 წლებში ჩაბმული იყო საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს პროექტების ექსპერტიზის სამმართველოს საქმიანობაში.

ბატონი რევაზ მახვილაძე არის 96 სამეცნიერო შრომისა და 6 სახელმძღვანელოს ავტორი სამშენებლო პრობლემატიკის საკითხებზე.

გარდა პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობისა 1960 წლიდან დაწყებული აქტიურადაა ჩაბმული საინჟინრო-საპროექტო საქმიანობაში. მრავალმხრივია მისი საქმიანობის სფეროც: არის კონსტრუქტორიც, ხარჯთაღმრიცხველიც და მშენებლობის ორგანიზაციის დაპროექტების სპეციალისტიც. მას კარგად იცნობს საინჟინრო საზოგადოება და ყველოვნად აფასებს მის ცოდნას და გამოცდილებას.

თავისი სანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ბატონ რევაზს პირადად შესრულებული აქვს ათობით საპროექტო დოკუმენტაცია, ასევე როგორც პროექტის მთავარი ინჟინერი ხელმძღვანელდა მრავალი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა როგორც სამრეწველო, ასევე საბოჭალაქო ობიექტების ხაზით 1960 წლიდან ვიდრე დღემდე. ბოლნისის რაიონის მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატიდან დაწყებული და დამთავრებული ამჟამად დაპროექტებაში მყოფი ქ. თბილისში კვალის ქუჩაზე საოფისე შენობით, რომელიც მიწის ზვეით 10 სართულიანი და მიწაში ჩაღრმაებული 4 სართულით.

1984-87 წლებში მუშაობდა ალჟირის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორად. მანამდე იყო "თბილქალაქპროექტის" ინჟინერ-კონსტრუქტორი, შემდეგ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი. იქვე 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სამშენებლო კონსტრუქციებში. 1974 წლიდან აქვს სამეცნიერო წოდება გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების განხრით.

გარდა სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა ბატონი გივი დანელია აქტიურადაა ჩაბმული საინჟინრო-საპრექტო საქმიანობაში. თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მას პირადად შესრულებული აქვს ათობით პროექტი როგორც სამრეწველო, ასევე სამოქალაქო და ჰიდროტექნიკური ობიექტების სახით, მონაწილეობს შენობა-ნაგებობების დაზიანებათა კვლევაში და მათი გამაგრების ღონისძიებების შემუშავებაში.

1988-90 წლებში აქტიურად თანამშრომლობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარ საექსპერტო სამმართველოსთან, ითვლებოდა ექსპერტად გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების განხრით. 2006 წლიდან არის განათლების სამინისტროს ნაციონალური სამეცნიერო ფონდის ექსპერტი.

ბატონი გივი დანელია ითვლება მცოდნე და ერუდირებულ სპეციალისტად სამშენებლო დარგში, მას ხშირად იწვევენ სამშენებლო-საპროექტო ფირმები როგორც საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად, ასევე სამშენებლო-ტექნიკური საკითხების გადასაწყვეტად მშენებლობაზე.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაციას ვუწევთ პროფესორ გივი დანელიას მისთვის ექსპერტიზის ჩატარებაზე უფლების მინიჭებაზე.

სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის
დეკანი, ტექნიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი ზურაბ გედენიძე

GEO

საქართველო

სახელი / FIRST NAME
რევაზ
REVAZ
გვარი / LAST NAME
მახვილაძე
MAKHVILADZE
მოქ. / CIT GEO
სქ. / SEX მ / M
პირადი № / PERSONAL № 01020001893
დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH 08.05.1937
ვადის გასვლის თარიღი / DATE OF EXPIRY 30.12.2023
ბარათის № / CARD № 13IC85570
ხელმოწერა / SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
30.12.2013
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დოკუმენტის ტიპი, მოქალაქეობის კოდი MG-IDB 02/13
ბლანკის ნომერი № 26-3184

IDGE013IC8557030102000189 3<<<<
3705085M2312307GE0<<<<<<<<<<<6
MAKHVILADZE<<REVAZ<<<<<<<<<<<<

Трудовая книжка

Фамилия Махвилас

Имя Резо

Отчество Леонидович

Год рождения 1937

Образование: начальное, среднее, высшее (подчеркнуть)

Профессия Инженер-строитель

Подпись владельца Трудовой книжки

Р. Махв

Дата заполнения Трудовой книжки

«12» октября 1960 г.

СВЕДЕНИЯ О РАБОТЕ

№ п/п	Дата: Число	Месяц	Год	Сведения о приеме на работу, переводах на другую работу, переменах в специальности, увольнении (с указанием причин)	На основании чего внесена запись (документ, его дата и номер)
1	2			3	4
				До поступления в ВУЗ служил в Армии с 1955 г. по 1960 год срочную военную службу	
				Инженер-строитель	
1	1960	VIII	29	Зачислен в отдел капитального строительства инженером	Приказ № 30/III
2	1963	I	1	Назначен главным инженером отдела	Приказ № 29/I
3	1964	I	1	В связи с изменением Совета Министров СССР №718 от 18/XI-63 г. переведен в Госкомитет по гражданскому строительству и архитектуре при Госстрое СССР	Приказ № 156 от 28/XII

15

СВЕДЕНИЯ О РАБОТЕ

№ записи	Дата: год	Дата: месяц	Дата: число	2	3	4
				ГПГ „Грузгеологоразведка"		
4	1964	I	1	Назначается	ст. инже. конструктор	пр. №18 от 11-I-1964г.
5	1965	IX	1	Переведен на	должность груп-	пр. 151
	1965	XII	13	Освобожден от	строй отдела №2	от 10/IX-65г.
				с переводом	работы в связи	Прик. 212
					ем в аспиран-	от 9/XII-65г.
					по кадрам	
					/Бабич/	

СВЕДЕНИЯ О РАБОТЕ

№ записи	Дата: год	Дата: месяц	Дата: число	Сведения о приеме на работе и увольнении	работу, перемещениях по (с указанием причин)	На основании чего внесена запись (документ, его дата и номер)
				2	3	4
7	1965	XII	13	Зачислен в очную аспирантуру	по специальности „Городской	Пр. 157 от 27. XI-1965г.
				транспорт"		
8	1970	01	01	Отчислен из аспирантуры Акад		Пр. 136
				в связи с окончанием срока обучения		от 12/XI-69г.
				Зав. аспирантурой /подпись/ Безюлина		
				Академия коммунального хозяйства		
9	1970	01	01	В связи с окончанием срока аспи-		Пр б/к
				рантуры и на основании решения		от
				зачислен и.о. мл. научного сотрудника		19/I-1970г.
				сектора гор. транспорта и дорог.		

16

СВЕДЕНИЯ О РАБОТЕ

№ записи	Дата: Год	Дата: Месяц	Дата: Число	Сведения о приеме на работе и увольнении	работу, пер… …ениях по (с указанием …тии)	На основании чего внесена запись (документ, его дата и номер)
1	2				3	4
10	1971	05	17	Освобожден от занима… …ой долж… …ости ст. 16 Основ за… …одательств… Союза ССР. …ьнокъ отд.		Пр 30/к от 13/V-71г.
				…ческих студенток ГПИ «Гидро… …ект»		
11	1971	V	31	Зачислен на должность главного …женера проектного отдела.		пр. №62 §1 от 25/V-1971г.
12	1972	III	1	В соответствии с …дельном ГПИ «Груз… …роект» от 14/II-72г. переводится … распоряжение от 25/II-72г. указанного …ститута.		пр. №22 §1
				Ст. инж. по кор… …ГПИ «Грузгидропроект»	/Гегелашвил… З.Н./	

СВЕДЕНИЯ О ПООЩРЕНИЯХ И НАГРА… …ЕНИЯХ

№ записи	Дата: Год	Дата: Месяц	Дата: Число	Поощрения и … награжден…	На основании чего внесена запись (документ, его дата и номер)
1	2			3	4
				ГПИ «Грузгосирострой»	
13	1972	03	1	Зачислен на работу в порядке …ревода из ГПИ «Гидропроект» на …жность начальника технического о…ла	пр. № 30 от 1.03.1972
14	1977	02	09	Освобожден от работы в связи … переводом в «Грузкая… …ирострой» ст. 29 и. 5 КЗоТ РСФСР. …ьник отдела кадров	Прик. 19 от 27.01.77

17

работе
СВЕДЕНИЯ О ~~ПООЩРЕНИЯХ~~

დანართი 1.3 (გაგრძ.)

1	2			3	4
				Гос. проектный институт	
				„Грузгипросельстрой" МЖСХ ГССР	
15	1977	02	1	Зачислен на должн. Гипр. начальника архитектурно-строительного отдела	пр. 12 от 3/II 77
16	1978	09	25	Освобожден от занимаемой должности в связи с переводом в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина	пр. № 81 25.IX.78
				Нач. ОК — Р. Кохнадзе	

ცნობები მუშაობის შესახებ

ჩანაწერის №	თარიღი: წელი	თვე	რიცხვი	ცნობები სამუშაოზე მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის შესახებ (მიზეზების აღნიშვნით)	რის საფუძველზე შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი)
1	2			3	4
				ГПИ им В.И. Ленина	
17	1978	09	13	Зачислен на должность доцента каф. механиз. и организ. строит. производ.	пр 130 от 28/IX
	2003	09	01	გადაყვანილია ასოც. პროფესორის თანამდებობაზე	ბრძ. 47 2003

6

18

დიპლომი

წარჩინებით

H № 925834

ეს დიპლომი მიეცა მახვილაძეს ლეონიდის ძე რევაზს

მასზე, რომ იგი 1955 წელს შევიდა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1960 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით: სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1960 წ. 25 ივნისის დადგენილებით

რ. ლ. მახვილაძეს მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

რექტორი (დირექტორი)

მდივანი

ქალაქი თბილისი 1960 წ. „23/VII“

სარეგისტრაციო № 3364

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

Н № 925834

Настоящий диплом выдан Махвиладзе Ревазу Леонидовичу

в том, что он в 1955 году поступил в Грузинский ордена Трудового Красного Знамени политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1960 году окончил полный курс названного института

по специальности Промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от 25 июня 1960 г.

Махвиладзе Р.Л.

присвоена квалификация инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

М. П.

Ректор (директор)

Секретарь

Город Тбилиси 23/VII 1960 г.

Регистрационный № 3364

Типография Гознака. 1958.

ДИПЛОМ
КАНДИДАТА НАУК

МТН № 060094

Москва 22 января 1971 г.

Решением
Совета Академии коммунального хозяйства
им. К. Д. Памфилова
от 30 ноября 1970 г. (протокол №15/293)

Махвиладзе Ревазу Леонидовичу
ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ КАНДИДАТА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Совета

Ученый Секретарь Совета

АТТЕСТАТ
ДОЦЕНТА

АЦ № 039793

Москва

Решением
Высшей аттестационной комиссии
при Совете Министров СССР
от 24 сентября 1980 г. (протокол № 38/149)

Махвиладзе Ревазу Леонидовичу
ПРИСВОЕНО УЧЕНОЕ ЗВАНИЕ
ДОЦЕНТА
ПО КАФЕДРЕ
организации и механизации строительного производства

Председатель Высшей аттестационной комиссии

Главный ученый секретарь Высшей аттестационной комиссии

საქართველოს საინჟინრო აკადემია

დიპლომი № 2-301

ეძლევა ბატონ

რევაზ მახვილაძეს

მასზედ, რომ 2011 წლის 23 სექტემბერს იგი არჩეულ იქნა საქართველოს საინჟინრო აკადემიის **ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).**

პრეზიდენტი — ა. ფრანგიშვილი

აკადემიის მდივანი — ი. გოგიძე

თბილისი, 2011

THE GEORGIAN ENGINEERING ACADEMY

DIPLOMA № 2-301

Is given to Mr.

Revaz Makhviladze

That in September, 23, 2011 he was elected as a **Full member (Academician)** of the Georgian Engineering Academy

President — **A. Prangishvili**

Academician-secretary — **I. Gorgidze**

Tbilisi, 2011

ცნობა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) რევაზ მახვილაძის 2011-2013 წლებში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე შესრულებულ საექსპერტო დასკვნებზე შენობების მდგრადობაზე და დემონტაჟზე

საპროექტო საქმიანობას ეწევა 1960 წლიდან დღემდე

საექსპერტო სამუშაოების ჩასატარებლად იწვევენ 1978 წლიდან

№	დამკვეთი	წელი	ობიექტის დასახელება
1	ამხანაგობა ,,რადიანი-10გ"	06.01.2011	ქ. თბილისში რადიანის ქუჩაზე №10გ მრავალსართულიანი სახლის საპროექტო დოკუმენტაციაზე
2	შპს "კნაუფგიფს თბილისი	15.04.2011	თბილისში ქიზიყის და ენუქიძის ქუჩაზე არსებული საწარმო კომპლექსის დაშლა–დემონტაჟზე
3	შპს "ფუდსერვისი"	25.05.2011	თბილისში, დიდ ლილოში ფუდსერვისის გადამამუშავებელი საამქროსა და შემნახველი საცავის საპროექტო დოკუმენტაციაზე
4	შპს "დიზაინ–დ"	24.05.2011	ქ. ზუგდიდი ხუბულავას ქუჩამე წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციაზე
5	შპს "ელიტა ბურჯი"	24.06.2011	თბილისში ხმელნიცკის ქუჩაზე 42 ლითონ–კონსტრუქციების დამამზადებელი საამქროს საპროექტო დოკუმენტაციაზე
6	შპს "გლდანი–11"	01.08.2011	თბილისში გლდანის I და II მ/რ შორის სავაჭრო ცენტრის კონსტრუქციულ მდგრადობაზე
7	შპს "მველი თბილისი"	16.08.2011	თბილისში შავი ზღვის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის C ბლოკის კორექტირებულ პროექტზე
8	ფ/პ ვასილ სოხაძე	25.07.2011	თბილისში ნ. რამიშვილის ქუჩაზე 22 არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მანსარდის დაშენებაზე და აივნების მოწყობაზე
9	შპს "კნაუფგიფს თბილისი	25.08.2011	თბილისში ქიზიყის ქუჩაზე 17 თაბაშირ მუყაოს ფილების წარმოების მასალებისა და ნედლეულია საწყობის საპროექტო დოკუმენტაციაზე
10	შპს "აქსისი"	29.09.2011	ქ. თბილისში საბურთალოს ქუჩაზე 32 მშენებარე IV, V, VI, VII, VIII ბლოკების კორექტირებული პროექტების თაობაზე
11	შპს "დეკორი"	11.11.2011	ქ. თბილისში ბელიაშვილის ქუჩაზე სავაჭრო–საგამოფენო პავილიონის საპროექტო დოკუმენტაციაზე
12	შპს "ფინსერვისი–XXI"	31.10.2011	თბილისში სოლოლაკის ხეივანში მდებარე არსებული შენობის რეკონსტრუქცია–მიშენების საპროექტო დოკუმენტაციაზე
13	შპს "GOLD KREDITI"	18.11.2011	თბილისში დ. აღმაშენებლის გამზირზე 171 საოფისე შენობის რეკონსტრუქციაზე

14	შპს "ქართუ მენეჯმენტი"	27.12.2011	თბილისში კოჯრის გზატკეცილი 13 მშენებარე მრავალფუნქციური გასართობ–სამაყურებლო ცენტრის კორექტირებულ პროექტზე
15	შპს "ელიტა ბურჯი"	05.01.2012	თბილისში ბ. ხმელნიცკის ქუჩაზე 42 ლითონდამამზადებელი საამქროს კორექტირებულ პროექტზე
16	შპს "ქართუ ჯგუფი"	10.02.2012	თბილისში კოჯრის გზატკეცილი 13 მდებარე არსებული შენობის რეკონსტრუქციაზე სასტუმროდ
17	შპს "ძველი უბანი"	10.02.2012	თბილისში ერეკლე მე–2–ის მოედანზე და ყავლაშვილის ქუჩის კუთხეში მდებარე შენობის მდგრადობის საექსპერტო შეფასება
18	შპს "დიზაინ–დ"	10.02.2012	ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კომბინატის დასახლებაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე
19	შპს "პეგასი"	10.05.2012	ქ. ამბროლაურის ბრატისლავა–რიჩის ქუჩაზე საცურაო აუზი საპროექტო დოკუმენტაციაზე
20	შპს "დიზაინ–დ"	25.05.2012	ქ. ზუგდიდში ზ. გამსახურდიას გამზირზე №28 საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციაზე
21	შპს "SADS GROUP"	04.08.2012	ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე
22	სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტი	27.0.2012	ტყიბულში სპორტის სასახლის დასაშლელ სამუშაოებზე საექსპერტო დასკვნა
23	ს/ს "სპეცჰიდრომშენი"	14.12.2012	ღრმაღელის საფილტრე სადგურის თბილისის ზღვის პირველი აწევის სატუმბო სადგურიდან III მიმღებ კამერამდე შემწოვი მილების მოწყობის საიმედოობაზე
24	შპს "ლუქს–დეველოპმენტი"	05.01.2013	თბილისში ფალიაშვილის ქუჩაზე 23 არსებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის დაშლაზე
25	შპს "NGS GROUP"	18.01.2013	თბილისში ამაღლების ქუჩაზე 47 მდებარე მშენებარე მრავალსართულიანი შენობის დემონტაჟზე
26	ი/მ გენრიხ კარსანიძე	15.06.2013	ყვარლის მუნიციპალიტეტის მდ. ბურსის ნაპირსამაგრ და სოფელ შაქრიანის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციაზე
27	ი/მ გენრიხ კარსანიძე	17.06.2013	ყვარლის რაიონის სოფლების წიწკანაანთსერი, ახალსოფელი, საბუე, ბალღოჯიანი, გრემი, ალმათი, ენისელი-წყალსადენის ქსელების რეაბილიტაციაზე
28	შპს "ბიზნეს ჯგუფი"	12.10.2013	ხარჯთაღრიცხვასა და ფორმა 2–ზე საექსპერტო–ტექნიკური დასკვნის მომზადება
29	შპს "ბიზნეს ჯგუფი"	10.11.2013	ხარჯთაღრიცხვასა და ფორმა 2–ზე საექსპერტო–ტექნიკური დასკვნის მომზადება

ექსპერტი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის
პროფესორი, საინჟინრო აკადემიის
ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი



რევაზ მახვილაძე
20 ნოემბერი 2013 წელი